

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თვითრეგულირების ორგანოს  
არასამთავრობო ორგანიზაციის „მედიის განვითარების ფონდის“

საჩივარი

2015 წლის 23 ნოემბერს, 21:30 წუთზე საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის, 23:04 წუთზე კი საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ეთერში გავიდა ჟურნალისტური გამოძიების პროექტის „გამომძიებელი რეპორტიორი“ ფარგლებში მომზადებულ საგამომძიებო ფილმი „უცნობი „რუსთავი 2“ - მყიდველები და გამყიდველები“. ვთვლით, რომ აღნიშნული გადაცემით დაირღვა მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-13-ს პირველი, მეორე და მესამე, მე-14 მუხლის მეცხრე, მე-18-ს მე-6 მუხლები, ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი მუხლი სიზუსტის შესახებ.

სადავო გადაცემაში წამყვანი აცხადებს, რომ " ამ დროისთვის კომპანიას [„რუსთავი 2“] კრედიტი აქვს აღებული საერთაშორისო ორგანიზაცია Media Development Foundation-სგან". აღნიშნულ პასაჟს თან ერთვის ვიზუალური კადრები, რომელიც არა სესხების გამცემ საერთაშორისო ორგანიზაცია MDIF-ს, არამედ საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციის - მედიის განვითარების ფონდის (MDF) ვებს ასახავს, რომელზეც, თავის მხრივ, საქართველოში გაეროს ოფისის ხელმძღვანელის ერიკა კვაპილოვას და ოცმეთაურ თამარ მღებრიშვილის ფოტოა გამოსახული. აღნიშნული წარმოადგენს მაუწყებელთა ქცევის კოდექსით დადგენილი ჯეროვანი სიზუსტის პრინციპის დარღვევას.

მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-13 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, "1.მაუწყებელი ვალდებულია მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა უზრუნველყოს ინფორმაციის წყაროს და ფაქტების სიზუსტე." 2. "მაუწყებელი ვალდებულია მიაწოდოს აუდიტორიას სანდო და ზუსტი ინფორმაცია, არ დაუშვას ცრუ ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელება". კოდექსის მე-14 მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით კი, "ინტერვიუების, ჩაწერილი მასალის, მათ შორის საარქივო მასალის რედაქტირებისას, მაუწყებელმა არ უნდა დაამახინჯოს რესპონდენტის ციტატა, ან არ უნდა მოახდინოს სხვა სახით აუდიტორიის შეცდომაში შეყვანა ვიზუალური ან აუდიო მანიპულაციებით, დასმული კითხვების მნიშვნელობის შეცვლით ან კონტექსტიდან ამოვარდნილი კადრების გამოყენებით." კოდექსის მე-18 მუხლი კი საგამომძიებო გადაცემებისთვის წაყენებულ მოთხოვნებს აყალიბებს, რომელიც, ჩვენი აზრით, ასევე იყო დარღვეული, კერძოდ: "ჟურნალისტური გამოძიება საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხების გამოკვლევის ლეგიტიმური ჟურნალისტური ხერხია. ასეთ პროგრამაში წარმოდგენილი უნდა იყოს ყველა ხელმისაწვდომი მტკიცებულება და გამოძიების საგანზე არსებულ განსხვავებულ მოსაზრებათა ფართო სპექტრი. ჟურნალისტმა,

რომელიც ატარებს ჟურნალისტურ გამოძიებას უნდა უზრუნველყოს ფაქტების სიზუსტე, რათა დაცული იქნეს ჯეროვანი მიუკერძოებლობა."

ამასთანავე, მოცემულ შემთხვევაში დაირღვა მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-13 მუხლის მე-3 პარაგრაფი, რომლის თანახმად, "მნიშვნელოვანი ფაქტობრივი შეცდომების შესწორება უნდა მოხდეს ღიად და დაუყოვნებლივ, თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით სათანადო საეთერო დროს, მას შემდეგ, რაც მაუწყებლისათვის ცნობილი გახდება შეცდომის შესახებ." მართალია, მედიის განვითარების ფონდის და საქართველოში გაეროს ქალთა ფონდის გამოხმაურების შემდეგ, მეორე არხის რედაქციამ ვებ-გვერდზე აღნიშნულ გადაცემას დაურთო განმარტება, რომელშიც ბოდიშს იხდის დაშვებული უზუსტობის გამო<sup>1</sup>, თუმცა ჩვენს მიზანს წარმოადგენს არა რედაქციის ბოდიშის მიღება, არამედ გავრცელებული არასწორი ინფორმაციის თანაზომადი ფორმით შესწორება ან უარყოფა. აღნიშნული გადაცემა საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის ვებ-გვერდზე, ისევე, როგორც youtube<sup>2</sup>-ზე და მარშალპრესზე<sup>3</sup> მომხმარებლისთვის უცვლელი სახით არის ხელმისაწვდომი, რაც თანაზომადი ფორმით შესწორებად ვერ ჩაითვლება.

მაუწყებლობის შესახებ კანონის 52-ე მუხლის 2 პუნქტის თანახმად, დაინტერესებულ პირს საწყისი განცხადების გაკეთებიდან, მათ შორის, ფაქტის მოყვანიდან, 10 დღის ვადაში უფლება აქვს მოსთხოვოს შესაბამის მაუწყებელს საწყის განცხადებაში მოცემული მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორება ან უარყოფა საწყისი განცხადების ხანგრძლივობით და დაახლოებით იმ დროს, როდესაც გაკეთდა საწყისი განცხადება."

გთხოვთ, მაუწყებლობის შესახებ კანონის 52-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოახდინოთ გადაცემაში ჩვენი ორგანიზაციის შესახებ გასული არასწორი ინფორმაციის თანაზომადი ფორმით შესწორება ან უარყოფა, როგორც ეს კანონმდებლობით არის დადგენილი.

**პატივისცემით,**

**თამარ ხორბალაძე**  
**მედიის განვითარების ფონდის**  
**აღმასრულებელი დირექტორი**  
**30 ნოემბერი, 2015**

<sup>1</sup> <http://2tv.ge/ge/videos/view/153148.html>

<sup>2</sup> <https://www.youtube.com/watch?v=kJnIRqMs-U8>

<sup>3</sup> [http://marshalpress.ge/?p=15965&upm\\_export=print](http://marshalpress.ge/?p=15965&upm_export=print)

**საკონტაქტო ინფორმაცია:**  
მედიის განვითარების ფონდი  
ჭავჭავაძის გამზ. #54  
მე-5 სართ. მე-4 სადარბაზო  
თბილისი, 0179

**ტელ:** 995 790/ 99 66 07  
995 32/ 2 22 00 16  
**მობილური:** 5 93366993  
**იმეილი:** [mdfgeo@gmail.com](mailto:mdfgeo@gmail.com)